# ცნობის ფურცელი

V წ. — ყოველდღიური გამოცემა კვირა-უქმეების შემდეგაც. — პარასკევი, 17 მარტი 1900 წ. — № 1074

**გაზეთი ღირს:** წლიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“.**

**ტელეფონი № 372.**



## „მ ო ა მ ბ ე“ 1900 წ. „ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეშვიდე)

**გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში.**

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

1 წლით 6 თვით 3 თვით
10 მანეთი 6 მან. 4 მან.

სამზღვარ გარედ წლიურად 13 მან.

(წელიწადი მეხუთე)

**გამოვა ყოველ დღე კვირა უქმეების შემდეგაც.**

გაზეთის ფასი გაგზავნით:

1 წლით 6 თვით 3 თვით 1 თვით
6 მანეთი 3 მ. 50 კ. 2 მანეთი 75 კაპ

სამზღვარ გარედ წლიურად 7 მანეთი.

**წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:**

პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ.

პირველად 3 მან., 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ.

**ვინც „მოამბე“-ს ერთისწლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ დაეთმობა გამოწერის დღიდან**

**წლიური ფასი განაწილდება: 5 მან. პირველად, 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ ოქტომბრამდე 2 მანეთი**

ჟურნალში ყოველ თვე დაიბეჭდება, სხვათა შორის, შინაური და უცხოეთის მიმოხილვა.

გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბავი) და სხვ.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კ. მეოთხეზე—5 კ.

თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

ადრესი რედაქციისა: **Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ“ и „Цнобисъ-Пурцели“.**

## ქ ა რ თ უ ლ ი თ ე ა ტ რ ი

შაბათს, 18 მარტს,

ქართულ დრამატიულ დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

# გემრიელი ლუკმა

კომედია 3 მოქმედებად, გადმოკეთებული დ. ერისთავისაგან.

II

# დივერტისმენტი

მონაწილენი: ქ.ქ. ჩერქეზიშვილისა, კარგარელი, გარელი; ბ.ბ. აბაშიძე, ყიფიანი, სვიმონიძე, გედევანლვი, ალამიძე, და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. **დასაწყისი 8 საათზე.**

**გამგეობა კავკასიის მცირე-წლოვან დამნაშავეთა გამასწორებელ ახალშენთა და თავშესაფართა საზოგადოებისა,**

ამ საზოგადოების წესდების მე-16 §-ს თანახმად, უმორჩილესად სთხოვს წევრებს მობრძანდნენ

## საზოგადო კრებაზე,

რომელიც კვირას, 26 მარტს, ნაშუადღევის პირველ საათზე მოხდება ტფილისის სამოსამართლო პალატის სადგომში.

განსახილველია შემდეგი საქმები:

1, გამგეობისა 1899 წლის მოქმედების ანგარიში.

2, 1899 წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში.

3, გამასწორებელ ახალშენის 1899 წლის მოქმედების ანგარიში.

4, 1900 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

5. სარევიზიო კომისიის მოხსენება 1899 წლის ანგარიშისა და 1800 წლის ხარჯთ აღრიცხვის შესახებ.

6, საზოგადოების საპატიო წევრად არჩევა საქართველოს ეგზარხოსის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის ფლაბიანესი.

8, მოხსენება საზოგადოების წევრის ა. ი. მანთაშევის შემოწირულების შესახებ.

9, მოხსენება გ. გ. ჭყონიას მიერ ახალშენის დირექტორის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ.

**შენიშვნა.** საზოგადო კრება კანონიერად იქმნება ჩათვლილი, თუ 20 წევრი მაინც დაესწრო (საზოგადოების წესდების მე-17 პარაგრაფი). (3—6.—1)

ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ა. ს. როინაშვილის მიერ ნაანდერძევი

## ფოტოგრაფია

გადატანილ იქმნა ერევნის მოედანზედ, ხარაზოვის სახლში. (ნ. 0—30)


## მთავრობის განკარგულებანი

დრაგუნთა მე-43 ტვერის პოლკის შტაბს-როტმისტრი ესაძე დაინიშნა კავკასიის საკავალერიო დივიზიის შტაბის უფროს ადიუტანტად და გადაყვანილ იქმნა დრაგუნთა ნიჟეგოროდის მე-44 პოლკში.

# ახალი ამბავი

✦ სტავროპოლის გუბერნიაში **ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს** დაწესების საქმე, როგორც სჩანს, მალე უნდა დასრულდეს. იუსტიციის სამინისტროს მოსვლია უკვე საგუბერნიო ადმინისტრაციიდან სია იმ პირთა, ვისაც შეუძლია გუბერნიაში აღასრულოს ნაფიც მსაჯულთა მოვალეობა. ამ ჟამად ამ სიებს იხილავენ სამინისტროში და შემდეგ გარდასწყვეტენ, როდის უნდა იქმნას შემოღებული ხსენებული სასამართლო სტავროპოლის გუბერნიაში.

✦ „კავკაზ“-ი იტყობინება, რომ კავკასიის მთავარმართებლის განკარგულებით **დაინიშნა** საქმის წარმოების **რევიზია** ტფილისის გუბერნატორის, ტფილისის საგუბერნიო მმართველობის და ტფილისის გუბერნიის საგლეხო საქმეთა საკრებულოს კანცელარიებისა. რევიზიის მოხდენა დაევალა მთავარმართებლის საბჭოს წევრს დ. ს. ს. კესტერს.

✦ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის უწყება როგორღაც გულციად ეკიდება **ტელეფონის** საქმეს. თებერვლის დიდმა თოვლმა წააქცია ბევრი სვეტი, დასწყვიტა მავთულები და ტელეფონით წესიერი სარგებლობა რამდენიმე კვირით შესწყდა. ბოლოს, როგორც იქნა, შეაკეთეს ყოველისფერი, მაგრამ მალე ისევ მოიშალა წესიერება ამ საქმეში. მოვიდა პატარა თოვლი და ისევ დასცა სვეტები და დასწყვიტა მავთულები! გავიდა რამდენიმე დღე,—სვეტები დადგეს ისევ, მაგრამ, დახეთ უბედურებას, თურმე მავთულები გამოლევია საფოსტო-სატელეგრაფო უწყებას და პეტერბურგიდან გამოუწერია...

არც ამდენი უყურადღებობა ვარგა!

✦ როგორც ისმის, ფინანსთა სამინისტროს განუზრახავს მოუმატოს ამიერკავკასიაში **გადასახადის ინსპექტორთა** რიცხვს.

✦ ოდესის უნივერსიტეტში **მედიკურა ფაკულტეტი**, გაზეთების სიტყვით, გაიხსნება ივლისში, ხოლო სწავლა 1-ლ სექტემბრიდან დაიწყება.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობას წარუდგინა ზოგიერთ **საქალაქო პირველ დაწყებით სასწავლებელთა** 1899 წლის ანგარიშები, რომელთაგანაც მოგვყავს იქიდან საყურადღებო ცნობები: 1) ვერის 1-ლ საქალაქო სასწავლებელში, რომლის გამგედ ლ. ა. შესტაკოვისა არის, გასულ წლის ბოლოს 109 ვაჟი სწავლობდა და 44 ქალი; სულ—153; მათგან: რუსი—121, ქართველი—14, სომეხი—17, სომეხი—17 და ბერძენი—1. სწავლა დაამთავრა 40 ბავშმა. სასწავლებლის შენახვა დაჯდა შარშან 4055 მანეთი.—2) ვერის მე-2 საქალაქო სასწავლებელში, რომლის გამგეთ ა. მ. ჩაჩიბაია არის, შარშან სწავლობდა 50 ბავშვი, მათგან: რუსი—10, ქართველი—34 და სომეხი—6. ამ ჟამად სასწავლებელში სულ 80 ბავშვია; მათგან: რუსი—20, ქართველი—50 და სომეხი—10.—3) ავლაბრის მე-2 საქალაქო სასწავლებელში, რომლის გამგეთ ნ. ი. ტიმოფეევისა არის, სულ სწავლობდა გასულს წელს 88 ბავშვი; მათგან: რუსი—11, ქართველი—15 და სომეხი—49 და პოლონელი—1. 4) ამაღლების საქალაქო სასწავლებელში, რომელსაც განაგებს მ. ხერასკოვისა, სწავლობდა გასულ წელს 44 ბავშვი; მათგან: რუსი—23, ქარ-

თველი—6, სომეხი—13, იტალიელი—1 და პოლონელი—1; ვაჟი—19, ქალი—25; სასწავლებელზე დაიხარჯა 1770 მანეთი.

✦ მცხეთის, წილკნის, მისაქციელის და წეროვანის საზოგადოებანი შეერთებულან ეგრედ წოდებულ „მცხეთის“ სამამასახლისოდ. ხსენებულ სამამასახლისოში 12 ამა მარტს შესდგა საერთო ყრილობა მაზრის უფროსის ბ-ნის ნ. ი. მესხიშვილის თანდასწრებით და მამასახლისათ ხმის უმეტესობით არჩეული იქმნა მცხეთის მცხოვრები გლეხი ზაქარია იოსების ძე გარსევანიშვილი. ამავე ყრილობამ გადასწყვიტა გაწერილ იქმნას თვითოეულ კომლზე თითო მანეთი და თოთხმეტი შაური და ამ გვარად შედგენილი თანხა გარდაეცეს მამასახლისს იმ პირობით, რომ ამ უკანასკნელმა იყოლიოს თავისი ხარჯით რუსულ-ქართულ ენებზედ მიწერ-მოწერის მცოდნე მწერალი, ორი ცხენოსანი ჩაფარი და დაიქირაოს კანცელარია. მამამასახლისი ამ ჯამაგირით ვალდებულია აწარმოვოს ყოველივე სასოფლო საქმე უსასყიდლოდ. მთელ მცხეთის სამამასახლისოში შვიდას კომლამდე ითვლება.

✦ აგეთივე არჩევანი მოხდა მუხრანში, სადაც შეერთდნენ მუხრანისა, ქსოვრისის და მჭადი-ჯვარის საზოგადოებანი. მამასახლისად არჩეულ იქმნა მუხრანელი გლეხი ზარიაშვილი, რომელსაც საზოგადოებამ დაუნიშნა წლიურათ ასი თუმანი ჯამაგირი იმ პირობით, რომ ყოველივე საკანცელარიო ხარჯი ბ-ნმა ზარიაშვილმა თვითონვე უნდა გასწიოს.

✦ სამიწად-მოქმედო სამინისტროს რწმუნებულის განკარგულებით დაინიშნენ **საბრეშუმო მრეწველობის** ინსტრუქტორებათ უფროსი მიკროსკოპისტი კავკასიის საბრეშუმო სადგურისა ბ-ნი აფრიკიანცი და მეაბრეშუმე იმავე სადგურისა ბ-ნი გორბაჩოვი.

✦ უმაღლეს სასულიერო უწყებას განუმარტავს, რომ ის **სანთლები**, რომელნიც აღსარების მთქმელთ მოაქვთ, უთუოდ **ეკკლესიის სასარგებლოდ** უნდა იქმნან მიღებულნი. წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავენი, გარდა იმისა, რომ პასუხისგებაში იქმნებიან მიცემულნი, ჯარიმასაც გადიხდიან ეკკლესიის სასარგებლოდ.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტრო ადგენს ამ ჟამად პროექტს **ხელოსანთა წოდების** მართვა-გამგეობის შეცვლის შესახებ.

✦ როგორც გადმოგვცეს, კავკასიის საექიმო საზოგადოებას მიუღია ცნობა იმის შესახებ, რომ მომავალ აპრილის 25 ს (ახალი სტილით) ნეაპოლში მოხდება საერთაშორისო კონგრესსი **ჭლექთან საბრძოლველად** ზომების გამოძებნა—მიღებისათვის. კონგრესსზე დასასწრებლად იწვევენ ყველა მსურველთ ექიმთ, მეცნიერთ, სავადმყოფოთა და საქველ-მოქმედო საზოგადოებათა გამგეთ და სხვებს.

✦ ბაქოში, როგორც ამბობენ, არსდება **დონის საადგილ-მამულო ბანკის** განყოფილება.

✦ ტფილისში 1-ლ მარტიდან 8-მდე 21 კაცი გამხდარა ავად სხვა-და-სხვა გადამდებ სენით; მათგან წითელათი—1, ქუნთრუშით—17, დიფტერითით—1 და ხუნაგით—2.

✦ **ახალ-სენაკის საპყრობილის** გადასაკეთებლად ქუთაისის საგუბერნიო მმართველობას მოუთხოვია კრედიტი 6643 მანეთი, რომელიც განზრახულია საერობო თანხიდან გადიდვას.

✦ ტფილისის პოლიცმეისტერის თანამდებობის აღმასრულებელმა წინადადება მისცა ქალაქის მე-X ნაწილის ბოქაულს მიიღოს ენერგიული ზომები **დიდუბეში და ნაძალადევში** ქუჩების, ეზოების და მოედნების გასუფთავებისათვის.

✦ ბოლოს დროს ჩრდილოეთ კავკასიიდან ტფილისში ბევრი **ფქვილი** მოაქვთ გასასყიდად, ასე რომ ძალიან გაიაფებულა ადგილობრივი ფქვილი და ქალაქის გამგეობას შეძლება აქვს დასწიოს პურის ნიხრი.

✦ გამოვიდა მე-II ნომერი ჟურნალ „**მოამბისა**“ და ხვალ დაურიგდება ხელის მომწერთ შემდეგის შინაარსით: 1) „ქამუშაძის გაჭირვება“,—V.—VI. მოთხრობა დავ. კლდიაშვილისა; 2)—„პოეტის ფიქრი“—ნაწყვეტი—ლექსი განდეგილისა; 3) „წარსულიდან“—საშუალო სასწავლებელში—ნაწილი მესამე—VII—XVI. მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა. 4)—„ჩემი სიმღერა“, ლექსი ვ. რუხაძისა; 5)—„როგორ გაჩნდა სიყვარული“, ვ. გომულიცკისა, თარგმანი თ. სახოკიასი; განყოფილება მეორე: 6)—„1899 წლის ქართული სიტყვა-კაზმული ლიტერატურა“, კიტა აბაშიძისა; 7) „სამეცნიერო მუშაობა“—პ. უმიკაშვილისა; 8) „მართლა მოაღწია ჩვენამდის ძველი დილარიანის ნაწყვეტმა თუ არა?“—ე.თ—სა; 9)—„ალექსანდრე ბატონიშვილისა და იოსებ ბებუთაშვილის მიწერ-მოწერა“;—ქრონიკა: 10)—„შინაური მიმოხილვა“,—ლალისა და 11) „უცხოეთის მიმოხილვა“ ლალისა.

✦ ჩვენ მოგვივიდა **ახალი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა** „ისტორია ქართულის სტამბისა და წიგნების ბეჭდვისა“. 1626—1900 წლ. გვერდი—55, ფასი სამი შაური.

✦ ბორჩალოს მაზრაში ამ დღეებში შეუპყრიათ ციმბირიდან გამოქცეული იმავე მაზრის მცხოვრები ჰასან-შაქარ-ოღლი, რომელმაც 1889 წელს ალექსი ბათალაშვილი მოჰკლა.

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

**15 მარტი**

**ლონდონი.** „მორნინგ პოსტ“-ს მეფეკინგიდან ატყობინებენ 13 მარტს, რომ ბურები განუწყვეტლივ ესვრიან ზარბაზნებს ინგლისის პოზიციებს. ბურები ძალიან სცდილობენ დაამშვიდონ მკვიდრნი. ჯერ-ჯერობით ყოველივე მშვიდობიანად არის.

„დეილი ტელეგრაფს“ ლედისმიტიდან ატყობინებენ 21 მარტს, რომ 2000 ბური დარაჯად სდგას დრაკონის მთების გასავალში; ესენი ორანჟეს ბურები არიან. ხმა არის, რომ ბურებმა წაიღეს ბუგგერბბერგიდან მძიმე ზარბაზნები და თავს ანებებენ ამ პოზიციას.

„დეილი ქრონიკლ“-ს ატყობინებენ კიმბერლეიდან 26 მარტს, რომ 400 ორანჟელმა ბურმა დაიკავა გზა კიმბერლეისა და პაარდებერგის შუა.

იმავე გაზეთს ლედი-სმიტიდან დეპეშით ატყობინებენ 26 მარტს, რომ ბურების რაზმი სდგას ვესსელსპეკთან, ოლანდსლანმტეს ჩრდილოეთით, 8 მილის სიშორეზე ბუგგერსბერგის მთებიდან.

„სტანდარდ“-ს ატყობინებენ დურბანიდან 26 მარტს, რომ გემი „მატაბელლე“, რომელიც ეკუთვნის რკინის საზოგადოებას, მოყვანილ იქმნა იქ კრეისერით «magicienne». დაჭერილს გემს ბრალდება, რომ ტრანსვაალისთვის ნახშირი მიჰქონდაო.

„დეილი ნიუს“-ს დეპეშით ატყობინებენ კაპშტადტიდან 26 მარტს: „ფელდმარშალი რობერტსი აპირებს აქ მოსვლას თავის მეუღლის სანახავად. შეუძლებელად მიაჩნიათ, რომ ჯარები წინ წავიდნენ ერთის თვის დასრულებამდე. გენერალი კლემენცი ჯარებით შიდის ბლუმფონტენში“.

„დეილი მალ“-ს ატყობინებენ ფორსმიტიდან: „ეგერსფონტენი და ფორსმიტი დაიკავა გენ. კლემენცმა; წინააღმდეგობა არავის აღმოუჩენია“.

**ლორენცო-მარკეზი,** 15 მარტს. გენერალი ჟუბერი გარდაიცვალა.

**ბლიუმფონტეინი.** აქ მოვიდა მილნერი.

**პრეტორია.** ნატალიდან მოსული დეპეშა იტყობინება, რომ ქვანახშირის მადნების დანგრევა გრძელდება, რადგანაც მათ შეუძლიანთ სარგებლობა მოუტანონ ინგლისელთ. ყველა მადნები დენდში ააფეთქეს; მაშინები დისწვეს. დანარჩენ მადნების ასაფეთქად ყოველივე მზად არის.

**სიმონსტაუნი.** გუშინ გაიქცნენ სამხედრო ბანაკიდან ორი ტყვე-ბური.

**ვანვიკოლოგეი** (კაპისახალშენის ჩრდილოეთ ნაწილშია) გენ. პერსონი დაბრუნდა გუშინ იმ ჯარების მოწინავე რაზმებიდან, რომელნიც ებრძვიან ამბოხებულთ და დღეს უბრძანა უმთავრეს რაზმს ბრძოლის ველზე წასვლა. მოძრაობა გაძნელდა წვიმებისა გამო; გზები გაფუჭდა. უპისგტონიდან მოსულ ცნობებით მეამბოხეთა სარდალს სტეენკამპს ჰყავს ჯარი, შემდგარი 800 მეამბოხეთაგან, რომელნიც შეიარაღებულნი არიან მარტინის სისტემის თოფებით. სამხედრო სურსათი მათ საკმაო აქვთ. გზები ისევ ცუდს მდგომარეობაში არიან. ფიქრობენ, რომ მდინარეზე გასვლა ძალიან ძნელია.

**ლორენცო-მარკეზი.** გაზეთი „Johanneslurgez Diggers News“-ი იტყობინება: „სამხედრო სამინისტროს ცნობა მოსვლია 23 მარტს, რომ გენერლები გობლერი და ოლივიე, რომელნიც ამას წინად მოვიდნენ ნორვალსპონტიდან და სტრომბერგიდან ტაბანგუს მიდამოებში, უკვე დიდს მანძილზე წაიწიეს წინ ჩრდილოეთისაკენ და საშიში აღარ არის, რომ მათ გზას მოუჭრიან. მოელიან, რომ ჯარები, რომლებმაც თავი დაანებეს ორანჟეს რესპუბლიკის სამხრეთ ნაწილს, მალე მოვლენ ვინბურგში. ამ დღეებში გენერლები გრობლერი და ოლივიე შეუერთდებიან გენ. დევეტს და ამიტომ შეეძლებათ დიდი წინააღმდეგობა გაუწიონ რობერტსს“.

**მასსერუ.** პოლკოვნიკის პილჩერის ინგლისელ ჯარის უკან დაწევის შემდეგ, ბურების რაზმმა, რომელსაც, როგორც ფიქრობენ, წინ უძღვის ოლივიე, დაიჭირა ლედი-ბრანდი და მძლავრი პოზიციები პლატბერგისა და მოდდერპორტის მიდამოებში. ფიქრობენ, რომ ბურებს მოუჭრეს კრონშტადისაკენ მიმავალი გზა და რომ მალე ბრძოლა მოხდება.

**პეტერბურგი.** 15 მარტს მათ უდიდებულესობათ დაათვალიერეს ქალთა პატრიოტულ საზოგადოების სკოლა.

**სოფია.** სამხედრო მინისტრი პაპრიკოვი წავიდა პეტერბურგს.

**ბრიუსელი.** სენატში, გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს, რეზენი აცხადებს, რომ გაგის კონფერენციამ უმნიშვნელოდ ჩაიარა, რადგანაც მის დასრულების შემდეგ დაიწყო ომი ოქროს მადნების შეძენისათვის,— ომი, რომელმაც უკვე იმსხვერპლა მრავალი ხალხი. რადგანაც ბელგიის არსებობა დამოკიდებულია ხელშეკრულებათა სიმტკიცისაგან, საჭიროა, რომ სუსტ ერთა უფლებანი დაცულ იქმნან ხოლმე და ძალმომრეობა არ სჩაგრავდეს სიმართლეს. გარეშე საქმეთა მინისტრი პასუხად ამბობს, რომ გაგის კონფერენციის დადგენილებათ ძალა ექნებათ მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა ისინი დამტკიცებულ იქმნებიან. ეს კონფერენცია წარმოადგენს დიდს ნაბიჯს საერთო მშვიდობიანობის დამყარების საქმეში. მონტეფიორე პროტესტს აცხადებს ბელგიის ჟურნალ-გაზეთების წინააღმდეგ ინგლისის ლანძღვისა გამო. მინისტრი ეთანხმება მონტეფიორეს და მწუხარებას აცხადებს იმის შესახებ, რომ პრესსას ავიწყდება ინგლისის დამსახურება ბელგიის წინაშე; ბელგია დიდი მადლობელი უნდა იყოს ინგლისისა. შემდეგ, სენატორის პიკარის მიერ ბურების მიმართ თანაგრძნობის გამოცხადებისა გამო, მინისტრი ამბობს, რომ არც მთავრობა და არც პარლამენტი არ უნდა აცხადებდნენ თავიანთ აზრს სხვების დავისა შესახებ.

16 მარტი

**ოდესა.** 15 მარტს აქ მოვიდა ბოლგარიის სამხედრო მინისტრი პოლკოვ. პაპრიკოვი.

**ბერლინი.** საიმპერიო სეიმის საბიუჯეტო კომისსიაში ბიულოვი ამბობს, რომ ფლოტის გაძლიერება საჭიროა იმპერიის დასაცველად. „გერმანიის პოლიტიკას, ამბობს ის, სრულიადაც არ ჰსურს გამოიწვიოს ვინმეომში“. მინისტრმა შემდეგ აღნიშნა ის ცვლილება, რომელიც მოხდა ამ ათ წელიწადში, აგრეთვე ამერიკის ფლოტის გაძლიერება და ინგლისის გარეშე პოლიტიკის გაცხოველება. თუმცა ოფიციალური განწყობილება სახელმწიფოთა შორის კარგია, მაგრამ უკანასკნელ დროს ერთად ვნებებმა მოიპოვეს დიდი გავლენა პოლიტიკაში; ამიტომ სამხედრო ძალების გაძლიერება აუცილებელ საჭიროებად შეიქმნა. პროექტის წინააღმდეგ ილაპარაკეს სოციალისტებმა და თავისუფალ მოაზრე პარტიამ. როგორც სჩანს ცენტრის მოქმედებიდან, ფლოტის გაძლიერების პროექტი, ალბად, დამტკიცებულ იქმნება.

**სიმონსტაუნი.** წუხელ ღამ საავადმყოფოში გარდაიცვალა კიდევ ერთი ბური. კვირიდან დაწყებული ეს მეშვიდე ბური მოკვდა. აქაურს საავადმყოფოში წევს 30 ტყვე ბური სახადით ავადმყოფი. მასეროში—50; გემებზედაც ბევრია ავადმყოფი. ამბობენ, რომ გემები ტყვეებით კვირის დამლევამდე გაემგზავრებიან წმ. ელენეს კუნძულისაკენ.

**ლორენცო-მარკეზი.** ჟუბერი გარდაიცვალა გუშინ, საღამოს $11^1/_2$ საათზე, კუჭის ავადმყოფობით. პრეტორია მიეცა ღრმა მწუხარებას გულწრფელი, ნამდვილი პატრიოტისა, მამაც ღენერალისა და პატიოსან კაცის გარდაცვალებისა გამო.

**ლონდონი**, აქაურ საღამოს გაზეთების კერძო ცნობებიდან სჩანს, რომ მეფკინგში 7 მარტს ყველაფერი მშვიდობიანად იყო.

**კრონშტადტი.** გენერალი დე ლარეი ავად გახდა ინფლუენციით. მთავარსარდლობა ტრანსვალიის ჯარებისა გარდაეცა გენერალს სმუტსს. რაზმის უფროსი კრაუტერი იუწყება, რომ უკანვე აიღო ლედი-ბრანდი, რომელშიაც ინგლისელები ერთი საათი დარჩნენ. ლანდროსტი ვან-გორკუმი და ფელდ-კორნეტი სმიტლი ტყვედ იქმნენ წაყვანილნი. ინგლისელებს ერთი დაუჭრეს და სამი ტყვედ წაიყვანეს და დანარჩენი მასსერში გაიქცნენ. ბრანდფორდთან პატარა ბრძოლა მოხდა, რომელშიაც მოკლულ იქმნა ოთხი ინგლისელი ულანი და დაჭრილ იქმნა ექვსი.

მიხეილ დევიტი მივიდა პრეტორიაში, რომელსაც მიეგება გარეშე საქმეთა მინისტრის თანაშემწე.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტო“ იუწყება, რომ პრინცი და პრინცესა უელსისა მომავალ კვირას გაემგზავრებიან კოპენჰაგენში, დანიის მეფის დაბადების დღისათვის და დარჩებიან იქ აღდგომის კვირის ბოლომდე.

სამხედრო შეერთებული მსროლელთა კრებაზე თავმჯდომარემ ლორდმა უოლსლეიმ წარმოსთქვა ქება კარდველლის მიმართ, რომელმაც დააწესა სამხედრო სისტემა, ურომლისოდ შეუძლებელი იქმნებოდა ომის გაგრძელება. უოლსლეი ამტკიცებდა მნიშვნელობას მილიციისას, რომელმაც საშუალება მისცა შეგროვილიყო ლაშქარი, რომელიც იბრძვის ამ ჟამად სამხრეთ აფრიკაში. მილიციიდან ომის დაწყებიდან აქამდე მუდმივ ჯარებში გადავიდნენ 900 ოფიცერი; 30 ბატალიონი მილიციისა, როგორც უკვე ვიცით, ამ ჟამად ბრძოლის ველზე იმყოფება სამხრეთ-აფრიკაში. ორატორმა კარგად იცის, რომ საზღვარ-გარედ ჰფიქრობენ, ვითომც ინგლისში აღარ იყოს ჯარები, თუმცა კაზარმები არასოდეს არ ყოფილა ავსებული ჯარებით ისე, როგორც ეხლაა. გარდა ამისა შეიძლება ეხლავ გამოწვეულ იქმნას 50 ბატალიონი სამილიციო ჯარებისა, მაგრამ ამდენ ჯარისთვის ადგილი აღარ იქმნება. ეს ბატალიონები გამოწვეულ იქმნებიან მაშინვე, როგორც კი ამინდი შეძლებას მოგვცემს დავაბინავოთ ისინი.

**ნოტინგამი.** ლიბერალთა საზოგადოების კრებაზე უმთავრეს ორატორად გამოვიდა ედვარდ გრეი. მან გამოსთქვა აზრი, რომ კრიუგერის მიერ წარმოდგენილი მშვიდობიანობის პირობები არც ფორმით, არც შინაარსით არ იყვნენ ისეთები, რომელთა მიღება შესძლებოდეს ინგლისს. პარლამენტი შემწეობას აღმოუჩენს მთავრობას შემდეგაც. ორატორს არა სწამს, რომ პარლამენტის დათხოვნა შეიძლებოდეს, ვიდრე სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკები, არ იქმნებიან დაპყრობილნი ან დამარცხებულნი. გრეიმ მოიწონა აგრეთვე სამხრეთ-აფრიკას კონფედერაცია ბრიტონის მეთაურობით.

**ლონდონი.** ქვედა პალატის დერეფნეში ამბობენ, რომ გერცოგმა ნორფოლდიისამ დაანება თავი გენერალ-ფოჩტმეისტრის თანამდებობას, რადგან დაუყოვნებლივ მიემგზავრება კაპნაში. სხვა მინისტრები ცდილობდნენ უარი ეთქმევინებინათ ამ განზრახვაზე.

**კალუგა.** 13 მარტს, მოსკოვო-ბრიანსკის რკინის გზაზე, ვოროტინსკის ახლო, დაიმსხვრა საქონლის მატარებელი; მოკლულია მაშინისტი, დაჭრილია შვიდი რკინის გზის მოსამსახურე.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტოს“ კორრესპონდენტი იუწყება კრონშტადტიდან 26 მარტს: „მე გავიგე, რომ ოლივიე თავისის ჯარით შეუერთდა გრობლერსა და ლემმერსს და რომ ინგლისის ჯარი ლეუვრივერიდან ტაბანგისკენ მიდის.

**პარიზი.** ელჩად ნამყოფი გრაფი ბენედეტტი გარდაიცვალა.

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**

# გამოსადეგი ცნობანი

**საკალენდრო ცნობები**

**პარასკევი,** 17 მარტი; ახალი სტილით 30 მარტი. წლის დასრულებამე დარჩა 289 დღე. მთვარის 1-ლი დღე. დიდი მარხვის ოც-და-მეექვსე დღე. ხსენება ღირსისა ალექსი ღვთის კაცისა.

**შაბათი,** 18 მარტი; ახალი სტილით 31 მარტი. წლის დასრულებამდე დარჩა 288 დღე. მთვარის მე-2 დღე. დიდი მარხვის ოც-და-მეშვიდე დღე. ხსენება წმ. ტროფიმესი.

შემდეგი უქმი—25 მარტს—ხარება.

---

**საავადმყოფოები**

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:** ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. გასუმოვი.

**ხარფუხისა,** კორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო,** ელისაბედის ქუჩა, სახლი ზათახოვისა. გადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის,** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და კუზნოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მექქესე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

---

**მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.**

**სახალხო მატარებელი № 1** ბაქოდან ტფილისში გამოდის 4 ს. 15 წ. დღ.; ტფილისში მოდის 8 ს. 40 წ. დილ.; ტფილისიდან ბა-

თუმში გადის 9 ს. 10 წ. დილ. ბათუმში მიდის 8 ს. 32 წ. საღ.

**საფოსტო მატარებელი** № 3 ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 12 ს. 20 წ., ტფილისში მოდი საღამოს 6 ს. 28 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 7 ს. 32 წუთ., ბათუმში მიდის დილის 8 ს. 12 წ.

**სახალხო მატარებელი** № 2 ბათუმიდან ტფილისში გამოდის 9 ს. 15 წუთ. დილ., ტფილისში მოდის საღამოს 8 ს. 35 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღ. 9 ს. 23 წ., ბაქოში მიდის 1 ს. 04 წ. დღის.

**საფოსტო მატარებელი** № 4 ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 ს. 05 წ. საღ., თბილისში მოდის 9. 45 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 11 ს. 32 წ., ბაქოში მიდის დილის 6 ს. 15 წ.

მატარებელი № 5 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 3 ს. 25 წ., ბორჯომში მიდის 8 ს. 23 წ. საღ.

მატარებელი № 6 ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 8 ს. 20 წ. დილ., თბილისში მოდის დღისით 12 ს. 55 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 5 ს. 02 წ., მეორე—დღეს 12 ს. 40 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 30 წ., ფოთში მიდის—პირველი 7 საათ. 12 წ. დილით, რე—2 ს. 49 წ. დღ. და მესამე ს 94—კომ9 წ. საღ.

**ფოთიდან** მსატრედიაში გადის სამი მატარებელი: პირველი—ღამის 1 ს. 11 წ., მეორე—დილის 6 ს. 20 წ., მესამე—საღ. 9 ს. 48 წ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—8 ს. 42 წ. დილის, მესამე—ღამის 11 ს. 57 წ.

ფოთიდან რიონში გადის დილის 6 ს. 20 წ., რიონში ფოთიდან მიდის დილის 6 ს. 45 წ.

**რიონიდგან** ქუთაისში გადის შვიდი მატარებელი: ღამის 3 ს. 55 წ., და 5 ს. 30 წ. დღის 1 ს. 30 და 4 ს. 50 წ., საღამოს 6 ს. 30 წ. დილის 8 ს. 45 წ. და 10 საათ.

**ქუთაისიდგან** რიონში მიდის ღამის 12 ს. 55 წ., და 4 ს. 40 წ. დღისით 12 30 წ., 3 ს. 50 წ., და 5 ს. 30 წ.,

**შორაპნიდან** ჭიათურაში გადის დღეში ორი სახალხო საქონლის მატარებელი. პირველი გადის დილის 6 ს. 50 წ., მეორე 5 ს. 15 წ. დღისით.

**ჭიათურაში** მიდის პირველი—დილის 9 ს. 42 წ. მეორე—საღამოს 8 ს. 07 წ.,

**ჭიათურიდგან** შორაპანში გადის ორი მატარებელი: პირველი 1 სე 40 წ. დღის, მეორე—საღამოს 11 ს. 15 წ. შორაპანში მიდის—პირველი დღისით 4 ს. 31 წ. მეორე ღამის—2 ს. 05 წ.

**მიხაილოვიდგან** სურამში გადის დღეში ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 12 ს. 03 წ., მეორე დილის 6 ს. 25 წ., მესამე,—დღის 1 ს. 5 წ. და მეოთხე საღამოს 7 ს. 18 წ.

სურამში ყველა ეს მატარებლები 12 წ. განმავლობაში მიდიან.

**სურამიდგან** მიხაილოვში გადის ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 5 ს. 08 წ., მეორე დილის 11 ს. 48 წ., მესამე დღის 4 ს. 40 წ., მეოთხე—საღამოს 10 ს. 50 წ.

# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს,** რომ მის თანადასწრებით, შუადღის 12 საათზე, 1900 წლის 20 აპრილს, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომლით უნდა გაიცეს იჯარით ფულის შეკრეფა ეტლებისა და ურმებისაგან, აგრეთვე მსხვილ-ფეხა და წვრილ-ფეხა საქონლის გადევნისაგან **მნაცაკანოვის ხიდზე.** ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლია განიხილოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის მეოთხე განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. ნ. 3—3

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს,** რომ მის თანადასწრებით, შუადღის 12 საათზე, 20 მარტს 1900 წ. დანიშნულია ვაჭრობა, უსუფთაობის მილის გასაკეთებლად ტროიცკის ქუჩაზე, ადამიას სახლის კარებამდე სიგძით 67 საჟენამდე და 1560 მანეთამდე ღირებული.

ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლიან ვაჭრობის პირობანი განიხილოს გამგეობის სატეხნიკო განყოფილებაში ყოველ დღე, კვარა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.

(ნ. 3—1)


წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

# გამგეობისაგან.

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლად სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1 | — » |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | « | —50 |
| დაბადება და აღზრდა კრუგლე ბატონაშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი | « | —10 |
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი (პსევდონიმი) | « | —20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: I ტომი | « | —70 |
| იგივე II ტომი | « | —60 |
| იგივე III ტომი | « | —60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) | « | —80 |
| სოფლის გუნწულა დ. მაჩხანელისა | « | —10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი | « | —60 |
| იგივე II ტომი | « | —60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი | « | —60 |
| სიბრძნე-სიცრუვე საბა-ორბელიანისა | « | —40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტოსი | « | —20 |
| აივენგო ვოლტერ სკოტისა | « | —50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | « | —15 |
| გაბრიელ ეპისკოპოსის ბიოგრაფია სურათით | « | —15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა | 1 | —20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის გ. პეტრიაშვილისა | 1 | —50 |
| რძე მისივე | 1 | —50 |
| სიბრძე ბალავარისა | « | —30 |
| ცეცხლითა და მახვილითა | « | —80 |
| დასტურ-ლამა | « | —10 |

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.



ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

# გლეხი-კაცის ისტორია,

ერკმან-შატრიანისა:

**სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა**

| | | |
|---|---|---|
| ნაწილი I საერო კრება | 60 | კ. |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 75 | » |
| ნაწილი II სამშობლოს განსაცდელი | 60 | » |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 75 | » |
| ნაწილი III წელიწადი პირველი რესპუბლიკისა და ნაწილი IV მამულიშვილი ბონაპარტი | 1 მ. 20 | » |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 1 მ. 50 | » |
| ბრჭყალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი | 30 | » |
| იუდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა | 30 | » |

**პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება**


გამომც. გ. გუნია.



სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. ვანქის დიდი ქუჩა, № 27.